

## ტერმინები

"საიტი"- ვებ გვერდი <https://www.dogdog.ge>

"კომპანია"- ვებ გვერდის <https://www.dogdog.ge> -ს მფლობელი კომპანიაა შპს „პროსერვისი“( 204929168)

"მომხმარებელი"- ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სარგებლობს საიტის მომსახურებით, ანთავსებს განცხადებას, ან ეძებს სასურველ პროდუქციას.

"განცხადება"- ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია გასაყიდი ან გასაჩუქებელი ცხოველის შესახებ

### 1. ვებ გვერდის მოხმარების ძირითადი წესები და პირობები ( ხელშეკრულება).

1.1 კომპანია არ არის არცერთი გარიგების ორგანიზატორი, თანამონაწილე, გამყიდველი ან მყიდველი. საიტი არის შუამავალი, რომელიც ეხმარება გამყიდველს და მყიდველს დაუკავშირდნენ ერთმანეთს.

1.2 კომპანია უზრუნველყოფს განცხადებების განთავსებას ზუსტად შესაბამის განყოფილებაში, რაც ეხმარება მომხმარებელს

1.3 კომპანიას არ ეკუთვნის საიტზე განთავსებული არცერთი პროდუქტი და არ ფლობს არანაირ დამატებით ინფორმაციას მათი რეალური მდგომარეობის შესახებ.

1.4 განცხადებაში მითითებული ინფორმაცია და აღწერასთან შესაბამისობა არ კონტროლირდება კომპანიის მიერ.

1.5 საიტზე განთავსებული ინფორმაცია ემსახურება მომხმარებლის პროდუქციის რეალიზაციას და კონტაქტის დამყარებას სხვა მომხმარებელთან.

1.6 ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი საიტზე პირად ინფორმაციას ანთავსებს თავისი სურვილით, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

1.7 საიტზე ინფორმაციის განთავსებისას მომხმარებელი ეთანხმება, რომ ინფორმაცია იქნება ღია და ნებისმიერ მომხმარებელს შეეძლება მისი ნახვა.

1.8 გამომდინარე 1.7 პუნქტიდან მომხმარებელი თავის თავზე იღებს ყველა რისკს დაკავშირებულს ამ ინფორმაციის გავრცელებასთან.

1.9 საიტზე განთავსებულ ინფორმაციას არ აქვს იურიდიული ძალა, მომხმარებელი ვალდებულია ნებისმიერი ფინანსური გარიგების წინ გადაამოწმოს ინფორმაციის სისწორე.

1.10 მომხმარებელი უნდა გაეცნოს წინამდებარე წესებსა და პირობებს. კომპანია უფლებამოსილია, ცალმხრივად შეიტანოს ცვლილება და დამატება წესებსა და პირობებში მომხმარებელთათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე. ამასთანავე, მომხმარებლის მიერ ვებ გვერდზე სტუმრობა/სარგებლობა ავტომატურად ნიშნავს მომხმარებლის თანხმობას წინამდებარე წესებისა და პირობების მოთხოვნებზე.

### 2. განცხადების განთავსება

2.1 მომხმარებელს არ აქვს უფლება საიტზე განათავსოს განცხადება, რომლის შინაარსიც ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

2.2 საიტზე განცხადების განთავსებისთვის აუცილებელია გაიაროთ რეგისტრაცია და დაეთანხმოთ dogdog.ge -ს საიტით სარგებლობის წესებს.

2.3 საიტზე განცხადების დამატების უფლება აქვს ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს, გარდა 18 წლამდე ფიზიკური პირებისა.

2.4 მომხმარებელი ვალდებულია საიტის ინსტრუქციების მიხედვით განათავსოს სრული ინფორმაცია გასაყიდი ცხოველის, მისი ამსახველი ფოტოების და ღირებულებები ( გაჩუქების) შესახებ. ამასთან, განცხადებაში ატვირთული ფოტოები უნდა იყოს რეალური ( ატვირთული ფაილი არ უნდა იყოს: სხვა ცხოველის ამსახველი ფოტო, ფოტოზე დატანილი ავტორის ვებ გვერდის, ტელეფონის ნომრის, შეთავაზებული მომსახურებისა თუ სხვა სახის გარეშე ინფორმაციის შემცველი).

2.5 განცხადების განთავსებით მომხმარებელი ადასტურებს, რომ მას აქვს განცხადებაში მითითებული ცხოველის რეალიზაციის უფლება, ან გააჩნია შესაბამისი თანხმობა ცხოველის მფლობელისაგან

2.6 ვებ გვერდზე, 30 დღის განმავლობაში, ცხოველის გაყიდვის განცხადების დამატების ღირებულებაა 10 ლარი, ხოლო სხვა განცხადების დამატების ტარიფი და პირობები რეგულირდება განცხადების ტიპის შესაბამისად.

2.7 მომხმარებელს შეუძლია განათავსოს განცხადება ცხოველების, ვეტ. კლინიკების, მაღაზიების, გრუმერების, კინოლოგების შესახებ.

2.8 განცხადება არ უნდა :

2.8.1 იყოს მცდარი, არაზუსტი და არ უნდა შეჰყავდეს შეცდომაში მომხმარებელი.

2.8.2 ემსახურებოდეს თაღლითობას, ტყუილს ან ნდობით ბოროტად სარგებლობას.

- 2.8.3 შეიცავდეს ინფორმაციას მოპარული, ან ყალბი პროდუქციის ყიდვა-გაყიდვის შესახებ.
- 2.8.4 ეხებოდეს მესამე პირის მატერიალურ და არამატერიალურ საკუთრებას, არ უნდა არღვევდეს მესამე პირის პირად უფლებებს.
- 2.8.5 შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც შელახავს მესამე პირის ღირსებას ან ბიზნეს რეპუტაციას.
- 2.8.6 შეიცავდეს რელიგიური, ეთნიკური, თუ სხვა სახის უმცირესობათა დისკრიმინაციას.
- 2.8.7 შეიცავდეს მუქარას ვინმეს მიმართ.
- 2.8.8 მოუწოდებდეს კრიმინალური ქმედებისაკენ.
- 2.8.9 უწევდეს მხარდაჭერას, ან პროვოცირებდეს ტერორისტულ და ექსტრემისტულ ქმედებებს.
- 2.8.10 შეიცავდეს პორნოგრაფიულ შინაარსს.
- 2.8.11 შეიცავდეს სარეკლამო ინფორმაციას განცხადების ობიექტისგან განსხვავებული ქონების, ნივთისა თუ მომსახურების, ან კომპანიის შესახებ (მათ შორის, აკრძალულია ფასიანი სატელეფონო საინფორმაციო მომსახურების მქონე ტელეფონის ნომრების განცხადებაში ან მომხმარებლის პროფილში მითითება).
- 2.8.12 არღვევდეს რაიმე სხვა გზით საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
- 2.9 მომხმარებელს არ შეუძლია გამოიტანოს დასკვნა გარიგების ლეგალურობის შესახებ, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ პროდუქცია განთავსებულია საიტზე.
- 2.10 საიტზე მომხმარებლის პროფილის ან/და განცხადების დაბლოკვის ან სხვა შემზღვევადი ხასიათის ზომების მიღების შემთხვევაში, განცხადებაზე არსებული ფასიანი სერვისის უქმდება და მის შექმნაში გადახდილი თანხა არ უბრუნდება მომხმარებელს. ასევე არ ხდება ფასიანი სერვისის გადატანა ერთი განცხადებიდან მეორეზე.
- 2.11 საიტზე განცხადების დამატების შედეგად სასურველი მიზნის მიღწევის შემთხვევაში, ასევე განცხადების წაშლის ან/და მომხმარებლის პროფილის გაუქმების შემთხვევაში, შექმნილი ფასიანი სერვისის თანხა არ უბრუნდება მომხმარებელს და ასევე არ ხდება გამოუყენებელი ფასიანი სერვისის გადატანა სხვა განცხადებაზე.

### **3. კომპანიის უფლებები და მოვალეობები**

- 3.1 კომპანია არ არის არცერთი შეთანხმების თანამონაწილე და არ არის პასუხისმგებელი არცერთი მომხმარებლის ქმედებაზე. ყველა მოლაპარაკება დგება უშუალოდ მომხმარებლებს შორის.
- 3.2 კომპანია არ აგებს პასუხს საიტზე განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე.
- 3.4 კომპანია ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ განცხადების განთავსებული პირის საიტზე მოცემული მონაცემები დაემთხვევა მის რეალურ მონაცემებს.
- 3.5 ნებისმიერი განცხადება, რომელიც იქნება განთავსებული საიტზე 2.7 პუნქტის დარღვევით წაიშლება და მომხმარებლის სახელი, რომლითაც განათავსა ასეთი განცხადება იქნება დაბლოკილი განცხადების შინაარსიდან გამომდინარე ინდივიდუალური ვადით.
- 3.6 2.7 პუნქტის ორჯერ, ან მეტჯერ დარღვევის შემთხვევაში მმართველ კომპანიას უფლება აქვს დაბლოკოს მომხმარებლის პირადი პროფილი.
- 3.7 კომპანიას უფლება აქვს დადებულ განცხადებას გაუწიოს მომხმარებლის მიერ მითითებული სახისგან განსხვავებული რეკლამირება.
- 3.8 კომპანიას უფლება აქვს შეწყვიტოს ნებისმიერი განცხადების გამოქვეყნება ნებისმიერ დროს.
- 3.9 კომპანია არ აგებს პასუხს საიტზე განთავსებული ინფორმაციის დაკარგვაზე ან დაზიანებაზე, ასევე შეტყობინების დაკარგვაზე.
- 3.10 კომპანია არ იძლევა გარანტიას საიტის მუდმივ და შეუფერხებელ მუშაობაზე.
- 3.11 საიტზე დიდი რაოდენობის განცხადებების განთავსების მიზნით, რამოდენიმე მომხმარებლის რეგისტრაციის შემთხვევაში კომპანიას უფლება აქვს უპირობოდ დაბლოკოს მომხმარებლის პროფილი
- 3.12 შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში კომპანიას უფლება აქვს მომხმარებელს შეუზღუდოს ვებ გვერდზე წვდომა.
- 3.14 კომპანიას შეუძლია შეცვალოს ეს შეთანხმება ყოველგვარი სპეციალური შეტყობინების გარეშე. შეთანხმების ცვლილებები ასახული იქნება 'საიტის მოხმარების წესების' განყოფილებაში.
- 3.15 კომპანია იტოვებს უფლებას, რომ დაბლოკოს განცხადება უპირობოდ და განუსაზღვრელი ვადით თაღლითების და სპამერების შემთხვევაში.

#### **4. მომხმარებლის უფლებები და მოვალეობები**

- 4.1 მომხმარებელს არ აქვს უფლება გადასცეს თავისი მომხმარებლის სახელი და პაროლი მესამე პირს, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანიას არ იღებს პასუხისმგებლობას გამოწვეულ შედეგზე.
- 4.2 პირადი მონაცემების გაცრცელების შესახებ ნებისმიერი ეჭვის გაჩენის შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია სასწრაფოდ შეცვალოს ისინი.
- 4.3 მომხმარებელს ეკრძალება საიტზე 2.7 პუნქტისგან განსხვავებული განცხადების განთავსება.
- 4.4 მომხმარებელი ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს კომპანიას, ღილაკით "არასწორი განცხადება" მეშვეობით, იმ განცხადების შესახებ, რომლებიც რაიმე სახით არღვევენ ვებ გვერდის წესებს, ან ეწინააღმდეგებიან საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
- 4.5 მომხმარებელს ეკრძალება განცხადებაში ნებისმიერი სახის რეკლამირება (განსხვავებული განცხადების ობიექტისაგან), ან სხვა საიტის ბმულის მითითება.
- 4.6 მომხმარებელი ვალდებულია იმოქმედოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და საიტის წესების შესაბამისად და აგოს პასუხი მის მიერ საიტზე განხორციელებულ ქმედებებზე საქართველოს კანონმდებლობით.
- 4.7 თუ მომხმარებელს უჩნდება რაიმე სახის გაუგებრობა სხვა მომხმარებლის მიმართ, იგი წარადგენს თავის პრეტენზიებს უშუალოდ მომხმარებელთან, რომლის მიმართაც აქვს შენიშვნა, კომპანიისგან დამოუკიდებლად. იგი ათავისუფლებს კომპანიას (ასევე მის ნებისმიერ თანამშრომელს) ყოველგვარი მოთხოვნებისგან. მათ შორის: ზარალის კომპენსაციისგან, ხარჯების ანაზღაურებისგან და ნებისმიერი დანახარჯის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საიტის მეშვეობით შემდგარ შეთანხმებასთან.
- 4.8 საიტის გამოყენება მომხმარებელს შეუძლია ყოველგვარი გარანტიის გარეშე, და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 4.9 მომხმარებელი იღებს სრულ პასუხისმგებლობას საიტზე განთავსებული ინფორმაციის შესახებ, საიტი მას აძლევს საშუალებას მიაწოდოს ინფორმაცია სხვა მომხმარებლებს.
- 4.10 მომხმარებელი აცხადებს და ადასტურებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი პროდუქცია/მომსახურება სრულ შესაბამისობაშია „პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ სფეროში მოქმედ სხვა საკანონმდებლო ნორმებთან მიმართებაში.
- 4.11 მომხმარებელი ასევე აცხადებს და ადასტურებს, რომ მის მიერ განსათავსებელ პროდუქციაზე/მომსახურებაზე მიწოდებული ინფორმაციითა და სარეკლამო მასალით ან/და მისი შექმნით არ დაირღვევა მესამე პირების საავტორო უფლება.
- 4.12 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომხმარებელი ადასტურებს, რომ მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ გააუქმებს შესაბამის განაცხადს ან/და არ ექნება პრეტენზია კომპანიის მიერ ამგვარი განცხადების გაუქმების თაობაზე, თუ გამოვლინდა შეუსაბამობა მომხმარებლის მიერ განცხადებულ გარანტიებსა და კომპანიის ონლაინ პორტალზე რეგისტრირებულ განცხადებებს შორის.
- 4.13 მომხმარებელი ასევე თანახმაა, სრულად აანაზღაუროს წინამდებარე განცხადებების შეუსაბამობის შედეგად კომპანიისათვის ( შპს პროსერვისი 204929168) მიყენებული ზიანი და დაკისრებული ჯარიმები.

#### **5. რეგისტრაციის წესები და კონფიდენციალურობის პოლიტიკა:**

- 5.1 მომხმარებელი ვალდებულია მიუთითოს რეალური მონაცემები, საკონტაქტო ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, სქესი, მდებარეობა და დაბადების წელი. ამასთან მომხმარებლის მიერ რეგისტრაციისას მითითებული მონაცემები კონფიდენციალურია და არ გადაეცემა მესამე პირებს, გარდა საკონტაქტო ტელეფონის ნომრისა, რომელიც თან ერთვის განცხადების ტექსტს და ღიაა სხვა მომხმარებლებისთვისაც
- 5.2 რეგისტრაციის დროს აკრძალულია სხვა პიროვნების მონაცემების მითითება.
- 5.3 მომხმარებლის სახელი არის ელ. ფოსტა, რომელიც უნდა იყოს მის მფლობელობაში არსებული აქტიური ელ. ფოსტის მისამართი, იგი შეიძლება შეიცავდეს ლათინურ სიმბოლოებს (A-Z), ციფრებს (0-9) და სიმბოლოებს.
- 5.4 აკრძალულია სახელსა და გვარში ნებისმიერი სახის შეურაცხყოფელი სახელის ან ფრაზის მითითება. ასეთი ანგარიში დაუყოვნებლივ იქნება დაბლოკილი

#### **6. განცხადების წაშლა და აღდგენა**

- 6.1 მომხმარებლის განცხადებ(ებ)ა ინახება პირად პროფილში, განყოფილებაში "ჩემი განცხადებები"
- 6.2 გააქტიურებას/ აღდგენას ექვემდებარება განცხადებები, რომელთანაც აქვთ სტატუსი „ვადაგასული“. ბოლო 3 თვის განმავლობაში.
- 6.3 „ვადაგასული“ განცხადებები ინახება ისისტემაში ასეთი სტატუსის მინიჭებიდან 3 თვის განმავლობაში.

### საიტით სარგებლობის პირობა:

საიტზე შესვლისას, მომხმარებელი ადასტურებს და ეთანხმება, რომ მისი კონტენტი, მომხმარებლების მიერ განთავსებული განცხადებები, ფოტოები და სხვა ინფორმაცია, წარმოადგენს საიტის საკუთრებას. ამ მასალის არასანქცირებული გამოყენება და/ან ნებისმიერი სახით დუბლირება, გადატანა მესამე მხარის საკუთრებაში არსებულ სივრცეში, წარმოადგენს საიტის კომერციული „დოვლათით“ სარგებლობას, რაც მკაცრად აკრძალულია ამ საიტის მხრიდან საჯარო თანხმობის და/ან შპს „პროსერვისი“-ს წერილობითი ნებართვის გარეშე.

### საფუძველი:

- ვებ გვერდი [www.dogdog.ge](http://www.dogdog.ge) წარმოადგენს შპს „პროსერვისი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929168) კუთვნილებას. „პროსერვისი“-ს გააჩნია საიტზე განთავსებული კონტენტის, მათ შორის და არა მხოლოდ ფოტომასალისა და მომხმარებლების მიერ განთავსებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად კომპანიას ასევე ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას, აკრძალოს საიტზე განთავსებული მასალების ნებისმიერი ფორმით უნებართვო სარგებლობისა და გავრცელების ფაქტი;
- შპს „პროსერვისი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929168) იტოვებს უფლებამოსილებას, საიტზე განთავსებული კონტენტის, მათ შორის და არა მხოლოდ ფოტომასალისა და მომხმარებლების მიერ განთავსებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის არასანქცირებული გამოყენების/სარგებლობის შემთხვევაში, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება „ვებ გვერდის მოხმარების წესების“ შესაბამისად;
- საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების ხელყოფა წარმოადგენს დასჯად ქმედებას და ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას (იხილეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლი)

### Dogdog.ge -ს გასაჩივრების მიზეზები

1. არასწორი ფასის მითითება
2. სხვა მომხმარებლის მიერ განთავსებული ინფორმაციის გამოყენება (დაბლოკვა ხდება მხოლოდ ავტორიზებული მესაკუთრის მიერ გასაჩივრების შემთხვევაში ანუ როდესაც ვახდენთ განცხადებების შედარებას)
3. განცხადება განთავსებულია არასწორ კატეგორიაში
4. ცხოველი გაყიდულია (ხდება მესაკუთრის მიერ გათიშვა)
5. განცხადება მეორდება (დუბლიკატი) (იბლოკება ერთი მომხმარებლის მიერ განთავსებული ერთი და იგივე განცხადება)
6. განცხადება არ შეესაბამება **dogdog.ge -ს თემატიკას (მაგალითად ტექსტში ცხოველის მონაცემების, ვეტ. კლინიკს ან გრუმერის ნაცვლად მითითებულია - ვისესხებ, ვაშენებ, ვყიდი ავტომობილს, ავეჯს და ა.შ.)**
7. განცხადება შეიცავს არასწორ ინფორმაციას
8. ატვირთული ფოტო/ფოტოები არ შეესაბამება საიტის წესებს. ( არ შეიძლება ფოტოზე ტელეფონის ნომრის დაწერა. ასევე სხვა საიტის ლოგოს ან დასახელების დატანება, სხვა ცხოველის, სხვა მაღაზიის, სხვა ექიმის ფოტოები).

### Dogdog.ge -ს დაბლოკვის მიზეზები

- ერთიდაიგივე განცხადების რამდენჯერმე განთავსება (დუბლიკატი)
- განცხადების არასწორ კატეგორიაში განთავსება (იყიდება/ ქირავდება /გირავდება)
- ცენზურის დარღვევა
- სხვა მომხმარებლის მიერ განთავსებული ინფორმაციის გამოყენება
- საიტის წესების დარღვევა

- ატვირთული ფოტო არ შეესაბამება საიტის წესებს
- აკრძალული ტიპის განცხადების განთავსება
- ზოგადი და გაურკვეველი განცხადების განთავსება
- არასწორი ფასის მითითება
- არასწორია საკონტაქტო მონაცემები
- განცხადება არ შეესაბამება [dogdog.ge](http://dogdog.ge) -ს თემატიკას
- განცხადება შეიცავს არასწორ ინფორმაციას
- სხვა საიტის რეკლამირება

გამოქვეყნებულია 01.08.2022

Dogdog.ge - ს ადმინისტრაცია